

ათასწლეულის გამოწვევის ფონდი -- საქართველოს

მოწვევა ინტერესთა გამოხატვის თაობაზე

REOI # PP11/GEP/CS/CQS/04



საქართველოს მთავრობისა

და

ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის

სახელით

საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა

მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების
პროექტის ფარგლებში მასწავლებელთა უწყვეტი პროფესიული
განვითარებისათვის ონლაინ რესურსის შესაქმნელად

2018 წლის 24 აგვისტო

ათასწლეულის გამოწვევის ფონდი -- საქართველო

საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა

მოწვევა ინტერესთა გამოხატვის თაობაზე

მასწავლებელთა უწყვეტი პროფესიული განვითარებისათვის ონლაინ რესურსების შესაქმნელად მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების პროექტის ფარგლებში

REOI # PP11/GEP/CS/CQS/04

ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციამ, ამერიკის შეერთებული შტატების სახელით 2013 წლის 26 ივლისს საქართველოს მთავრობასთან გააფორმა ხუთწლიანი, 140 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების კომპაქტი, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოში ეკონომიკური ზრდის და სიღარიბის დონის შემცირების ხელშეწყობას.

საქართველოს მთავრობა, ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს მეშვეობით, გეგმავს ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის მიერ გამოყოფილი დაფინანსების ნაწილის გამოყენებას ინტერესთა გამოხატვის შესახებ მოწვევის შედეგად გასაფორმებელი კონტრაქტისათვის. ზემოაღნიშნული კონტრაქტის ფარგლებში განხორციელებულ ნებისმიერ გადახდებზე სრულად გავრცელდება კომპაქტის და შესაბამისი დოკუმენტების პირობები და ვადები, მათ შორის, ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის მიერ გამოყოფილი დაფინანსების გამოყენებასთან დაკავშირებული შეზღუდვები და აღნიშნული დაფინანსების ფარგლებში განხორციელებულ გადახდებთან დაკავშირებული პირობები. კომპაქტის საფუძველზე უფლებები არ წარმოეშობა რომელიმე სხვა მხარეს, საქართველოს მთავრობის და ათასწლეულის გამოწვევის ფონდი -- საქართველოს გარდა; ასევე, რომელიმე სხვა მხარეს არ წარმოექმნება მოთხოვნა ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის დაფინანსების მიღებაზე.

საქართველოს მთავრობამ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველო, საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ჩამოაყალიბა საქართველოს კანონის საფუძველზე. ათასწლეულის გამოწვევის ფონდი -- საქართველო ანგარიშვალდებულია კომპაქტის პროგრამის განხორციელებაზე და ასევე ასრულებს საქართველოს მთავრობის უფლებასა და ვალდებულებას

კომპაქტის ზედამხედველობასთან, მართვასა და განხორციელებასთან დაკავშირებით.

ინტერესთა გამოხატვის თაობაზე წინამდებარე მოწვევის გამოცემას წინ უძღოდა შესყიდვის შესახებ ზოგადი განცხადების გამოქვეყნება UNDB Online-ში 2018 წლის 17 ივლისს, dgMarket-ზე 2018 წლის 17 ივლისს, საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ 2018 წლის 17 ივლისს, და ათასწლეულის გამოწვევის ფონდი -- საქართველოს ვებსაიტზე www.mcageorgia.ge განთავსდა 2018 წლის 17 ივლისს.

ათასწლეულის გამოწვევის ფონდი -- საქართველო, კომპაქტის საფუძველზე, შეარჩევს საკონსულტაციო კომპანიას, რომელიც შეიმუშავებს ონლაინ რესურსებს მასწავლებელთა უწყვეტი პროფესიული განვითარებისათვის, საქართველოს მეორე კომპაქტის მიზნების ხელშესაწყობად, მეცნიერებების, ტექნოლოგიების, ინჟინერიის და მათემატიკის (STEM) საგნებში ადამიანური კაპიტალის განვითარებისათვის მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების პროექტის ფარგლებში.

კონსულტანტი შეირჩევა ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის პროგრამის შესყიდვების სახელმძღვანელოში განსაზღვრული კონსულტანტების კვალიფიკაციის საფუძველზე შერჩევის წესების შესაბამისად.

ამ საკონსულტაციო მომსახურების ზოგადი მიზანია მაღალი ხარისხის ქართულენოვანი ონლაინ რესურსის უზრუნველყოფა მე-7 -მე-12 კლასის მეცნიერებების მასწავლებლებისათვის საქართველოს მასშტაბით. ამდენად, მომსახურების შედეგად უნდა მომზადდეს ვებზე დაფუძნებული ვირტუალური ლაბორატორია ფიზიკაში, ქიმიაში და ბიოლოგიაში. ეს რესურსი მასწავლებლებს დაეხმარება მეცნიერებების სწავლება-სწავლის პროცესში მოსწავლეზე ორიენტირებული, ინტერაქტიული და გამოცდილებაზე დამყარებული სასწავლო გარემოს შექმნაში.

სამუშაო დავალების განხორციელების ხანგრძლივობა, მისი სრულად დაწყებიდან დასრულებამდე, შეადგენს 8 თვეს, 2018 წლის ოქტომბრიდან 2019 წლის მაისამდე.

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა უნდა წარმოადგინონ ინფორმაცია შესაბამისი სერვისების (ბროშურები, მსგავსი მომსახურების გაწევის აღწერა, გამოცდილება მსგავს პირობებში, თანამშრომლების სათანადო უნარ-ჩვევები, და ა.შ.) გაწევის კვალიფიკაციის ფლობის შესახებ. კონსულტანტებს შეუძლიათ გაერთიანდნენ, საკუთარი კვალიფიკაციების გაძლიერების მიზნით.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დაინტერესებულმა კონსულტანტებმა უნდა მიმართონ ქვემოთ მითითებულ მისამართზე 11:00-იდან 18:00 საათამდე (GMT+4), საქართველოს დროით, სამუშაო დღეებში.

ინტერესთა გამოხატვის წინადადებების წარდგენა უნდა მოხდეს ქვემოთ მითითებულ მისამართზე **2018 წლის 12 სექტემბრამდე არაუგვიანეს საქართველოს დროით 19:00 (GMT+4)-ისა.**

საკონტაქტო ინფორმაცია:

ათასწლეულის გამოწვევის ფონდი -- საქართველო

ქ-ნი ნინო რამიშვილი, შესყიდვების უფროსი კონსულტანტი.

მერაბ კოსტავას ქუჩა, N 5, მე-4 სართული, თბილისი 0108 საქართველო

ტელ/ფაქსი: (+995 32) 2 428 528; 591 140 848

ელ-ფოსტა: ramishvili@mcageorgia.ge